კბილის კარიესის გავრცელება მაღალმთიან რეგიონებში და მისი კავშირი სოციო-დემოგრაფიულ ფაქტორებთან

ნუცა ზურაბიანი[1], მარიამ მარგველაშვილი[2], ვასილ ტყეშელაშვილი[3]

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა
[1]დოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა; [2]ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; [3]ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კბილის კარიესი ძალიან გავრცელებული დაავადებაა მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (ჯანმოს) მონაცემებით კარიესის გავრცელება მოიცავს ბავშვთა კონტინგენტის 60–90%–ს, ზრდასრული პოპულაციის თითქმის 100% აღენიშნება კარიესი,ხოლო 30% -ს აღარ აქვთ ბუნებრივი კბილები 65-74 წლის ასაკში. კბილის კარიესის გავრცელებაზე გავლენას ახდენს კლიმატო-გეოგრაფიული, სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, ასევე სტომატოლოგიური სერვისების დეფიციტი და სანგანათლების დაბალი დონე. ბრაზილიის მაღალმთიან რეგიონში - ნოვა ფრიბურგოში (გამოკვლეული 504 ადამიანი) კარიესის გავრცელების შესწავლის შემდეგ დადგინდა უშუალო კავშირი დაავადებასა და სოციო-დემოგრაფიულ ფაქტორებს შორის. კარიესის გავრცელება შედარებით მაღალი იყო იმ ოჯახებში (გამოკვლეულთა 78,07%),რომელთა შემოსავალი არ აღემატებოდა საარსებო მინიმუმს. ამათგან 86,69% ესაჭიროებოდა პირის ღრუს მკურნალობა და 36.09% უჩიოდა ტკივილს ბოლო 6 თვის განმავლობაში , ამის მიზეზი იყო სანგანათლების დაბალი დონე და სტომატოლოგიურ სერვისებთან ხელმისაწვდომობის დეფიციტი. მაკედონიის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ მის მაღალმთიან რეგიონში კბილის კარიესის შესწავლისას 396 გამოკვლეულთაგან 78,79%-ში აღინიშნებოდა კარიესის გავრცელება, ხოლო კარიესის ინტენსივობა კბა ინდექსის მიხედვით შეადგენდა 3.467-ს. აღნიშნულ რეგიონში დადგინდა ასაკის მატებასთან ერთად კარიესის ინტენსივობის ხარისხის მატება კერძოდ: 6 წლის ასაკში 0.69, 12 წელი - 5.22, 15 წელი - 8.13, 18 წელი - 9.34, 35-44 წელი- 11.80 და 69 წლის ზემოთ 23.84. აღნიშნულ რეგიონში, მიუხედავად ჯანსაღი კვებითი წესისა, აღინიშნება სანგანათლების ძალიან დაბალი დონე,სადაზღვევო სისტემის ხარისხის დეფიციტი. 2013 წელს კარიესის ინტენივობა და მისი კავშირი გეოგრაფიულ ფაქტორებთან შეისწავლეს მექსიკის მაღალმთიან რეგიონში. გამოკვლიეს 1143 ადამიანი სხვადასხვა კლიმატო-გეოგრაფიული არეალიდან. კარიესის საშუალო ინტენსივობამ შეადგინა - 4.02, თუმცა სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში მცხოვრება მოსახლეობაში კარიესის ინტრენსივობა იყო განსხვავებული, რაც ძირითადად განპირობებული იყო სასმელ წყალში ფტორის სხვადასხვა დონით შემცველობასთან. ბოლო წლის მონაცემებით საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში კარიესის გავრცელება ძალიან მაღალია და 99%-ს შეადგენს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან კარიესის ყველაზე დაბალი გავრცელება დაფიქსირდა ქ. თბილისში (97%), ხოლო რეგიონებში მერყეობდა 98-დან 100%-მდე, რაც ძირითადად დაკავშირებული არის სანგანათლების დაბალ დონესა და სტომატოლოგიური მომსახურებასის ხელმიუწვდომლობასთან განსაკუთრებით ქვეყნის გარეუბნებში.

საკვანძო სიტყვები: *კარიესი, კარიესის გავრცელება,მაღალმთიანი რეგიონი.*